

# HENLEY-ს მეწარმეობის ცენტრი

წარმოშობა, მისია და მისწრაფებები

2007–17

ენდრიუ გოდლი

კეიტ ჰერონი

მარისა ჯოსეფი

ნორბერტ მორავეცი

იურეკ სიკორსკი

მარტი 2017

[henley.ac.uk/hcfe](http://henley.ac.uk/hcfe)

# 1. ეკოსისტემების კვლევებიდან სწავლებამდე

## პიონერული კვლევის უპირატესობა

Henley-ს მეწარმეობის ცენტრს (HCfE) თავისი წარმომავლობის მიხედვით, 1980 წლიდან აქვს უპირატესობა აკადემიურ კვლევებში, განსაკუთრებით კი პროფესორ მარკ კასონის მიერ 1980-იან და 1990-იან წლებში გამოცემული პუბლიკაციების საფუძვლებზე. კასონმა, მეწარმეობის ანალიზისთვის შეიმუშავა განსხვავებული ეკონომიკური ჩარჩო. იმ დროს, მენეჯმენტის მეცნიერთა შორის მეწარმეობის ტრადიციული გაგება გულისხმობდა ახალი პროდუქტის შექმნას. კასონი, ამის ნაცვლად ორიენტირებული იყო ბაზრებზე მეწარმეების როლის ანალიზზე და ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ როგორ ქმნიდნენ მეწარმეები ახალი ბაზრებს (ახორციელებდნენ რასაც თავად უწოდებდა „განსჯას“) და როგორ ქმნიდნენ ბაზრებს უფრო ფუნქციურ და ეფექტურ ერთეულად (ან "ბაზრის-შექმნა"). ეს მიდგომა მკვლევართა შორის, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით იკვლევენ სამეწარმეო საქმიანობას, გახდა უზომოდ გავლენიანი.

კასონის ნაშრომმა 1980-იანი წლებიდან უნივერსიტეტში მრავალი წამყვანი მკვლევარი მოიზიდა. მისმა ჩარჩომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა: რეგიონული ინოვაციების კვლევაში; საერთაშორისო მეწარმეობაში; მეწარმეებსა და ინვესტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაში; მეწარმეობისა და ღირებულებების ურთიერთობაში; ბიზნესის სფეროს ისტორიაში მოყვანილ მეწარმეობის რამდენიმე ისტორიულ შემთხვევის ანალიზში. ყოფილი University of Reading-ის მკვლევარები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ სფეროში კვლევის რეპუტაციას, მოიცავდნენ გამოჩენილ მეწარმეობის მეცნიერებს, როგორცაა ანურადა ბასუ (ამჟამად ლიკონ ველის მეწარმეობის ცენტრის დირექტორი, San Jose State University), ჯონ კანტველი (ამჟამად Rutgers-ში), ჯეფრი ჯონსი (ამჟამად Harvard-ში), ფილიპ მაკკენი (ახლა Sheffield-ში) და რამ მუდამბი (ამჟამად Temple University-ში). სამეწარმეო კვლევის ეს ჩართულობა ცნობილი გახდა უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველებისთვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წლის კვლევის ბრწყინვალეობის ჩარჩო.

1990-იან წლებში უნივერსიტეტის მზარდმა საერთაშორისო კვლევის რეპუტაციამ განაპირობა მეწარმეობის ცენტრის შექმნა, თავდაპირველად ცენტრი შეიქმნა 2001 წელს, წმინდა კვლევითი მისიით და მისი დირექტორი იყო ანურადა ბასუ. მას შემდეგ, რაც 2004 წელს ბასუ გაემგზავრა San Jose State University-ში, ცენტრმა შეწყვიტა მუშაობა. 2007 წელს, შაენა იანუჰა-ივრაჯის ჩამოსვლისთანავე, ცენტრი განახლდა და გააფართოვა სწავლების მისია. ცენტრმა მიიღო მორიგი დაფინანსება უმაღლესი განათლების ინოვაციების ფონდისგან, რომელიც მხარს უჭერდა ცენტრის მენეჯერის დანიშვნას (ახლა აღმასრულებელი დირექტორი). 2007 წელს უნივერსიტეტი შეერწყა ყოფილ Henley Management College-ს და ახალი Henley-ს ბიზნესის სკოლა შეიქმნა 2008 წელს. 2011 წელს ენდრიუ გუდლი გახდა დირექტორი (2016 წელს მიიღო აკადემიური დირექტორის თანამდებობა, ამავდროულად იურეკ სიკორსკი დაინიშნა აღმასრულებელ დირექტორად) და ცენტრს ეწოდა Henley Centre for Entrepreneurship (HCfE). გოდლიმ ახალი სტრატეგია შექმნა და 2012 წლიდან, HcfE სწრაფად იზრდება.

**მაღალი თეორია - მაღალი პრაქტიკა: სამეწარმეო აზროვნების განვითარების პიონერული მიდგომა**

უნივერსიტეტი იყო პიონერი მეწარმეობის სწავლებაში, მეწარმეობის ეკონომიკური თეორიის პირველი მოდულები ისწავლებოდა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, ლექციებს ატარებდნენ კასონი და გოდლი 1991 წლიდან. მეწარმეობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება დაიწყო 2002 წელს, როდესაც გოდლიმ ინოვაციური ახალი მოდული - “მეწარმეობის პრაქტიკა“- შექმნა პროფესორ შაი ვიკარნამთან ერთად (რომელიც კემბრიჯის სამეწარმეო სწავლების ცენტრის დამფუძნებელი დირექტორი გახდა და ამჟამად Cranfield University-ს მეწარმეობის ცენტრის დირექტორია). ჩვენი ინფორმაციით, ეს იყო დიდ ბრიტანეთში პირველი, უნივერსიტეტის მასშტაბის, კრედიტიანი მოდული მეწარმეობაში. მიუხედავად იმისა, რომ მოდულის დიზაინი შემუშავებული იყო კასონის ჩარჩოს მიხედვით, შემდგომში ყურადღება გამახვილდა მოწინავე ეკონომიკური თეორიის სწავლებიდან პრაქტიკული მეწარმეობის უნარ-ჩვევებისა და ქმედებების სწავლებაზე. ეს მოდული კვლევა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია უნივერსიტეტის მოდულებს შორის.

1990-იან წლებში სწავლობდა მეწარმეობის მხოლოდ ათი სტუდენტი. ცენტრის რეკონსტრუქციის შემდეგ, 2005 წელს დაახლოებით 200 სტუდენტიდან, რაოდენობა გაიზარდა 367 სტუდენტამდე (2008/9 წწ.), ხოლო დღეს, HCfE-ს 20-ზე მეტ სხვა მოდულზე დარეგისტრირებულია 1,500 სტუდენტი. დღეს, დიდი ბრიტანეთში, ეს არის ერთ-ერთი უმსხვილესი კრედიტიანი მეწარმეობის მოდული. Henley-ს MBA-ს შეცვლით და მეწარმეობის ძირითად მოდულად დამტკიცებით, ეს რიცხვი 2018 წელს 2,000+ -მდე გაიზარდება.


2008/9	2009/0	2010/1	2011/2	2012/3	2013/4	2014/5	2015/6	2016/7	2017/8	2018/9
367	381	402	454	578	710	1,182	1,321	1,453	1,550e	2,100e

ცხრილი 1. HCfE-ის მეწარმეობის მოდულზე რეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა

HCfE-ის სამეწარმეო განათლების განმასხვავებელი მახასიათებელია კასონის ჩარჩოს ინტეგრაცია პრაქტიკაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პორტფოლიოსთან. ეს სტრუქტურა ხაზს უსვამს სამეწარმეო გადაწყვეტილების ქცევითი მახასიათებლების განვითარებას და პრიორიტეტს ანიჭებს "ზაზრის შექმნის" მნიშვნელობასა და კომერციალიზაციის. HCfE ფაკულტეტმა შეიმუშავა ღრმა ცოდნა იმის შესახებ, თუ რა არის ამ კვლევის ჩარჩოს ფუნდამენტური ელემენტები. ჩვენ შევქმენით საგანმანათლებლო შეთავაზებები, რომლებიც სხვადასხვა განსხვავებული ხარისხის მქონე სტუდენტებს აძლევს საშუალებას გააუმჯობესონ სამეწარმეო განსჯის უნარები და ისწავლონ კომერციალიზაციის სტრატეგიების პრიორიტეტების დასახვა. HCfE ფაკულტეტი განსაკუთრებით ეყრდნობა Henley-ს პედაგოგიური სწავლების ექსპერტიზას იმის წარსადგენად, თუ რა რჩება თეორიულ საკითხად პრაქტიკული სწავლების პროცესში. ჩვენ ამას ვუწოდებთ: მაღალი თეორია - მაღალი პრაქტიკა. ეს არის სამეწარმეო აზროვნების კულტივირებისთვის Henley-ს მიდგომა.

HCfE ამჟამად შედგება თორმეტი ფაკულტეტისა და ორი პერსონალისგან, სამი დამხმარე მონაწილისა და სამი მოწვეული პროფესორისგან და მოწვეული მკვლევარებისგან.

## 2. მისია



ფიგურა 1. ჩვენი მისია

### HCfE-ს მისია

1. სამეწარმეო აზროვნებისა და სტუდენტთა ქცევის, ფაკულტეტსა და ჩვენი კურსდამთავრებულების თემსა და ბიზნესში კულტივაცია. ამ მიზნით ჩვენ გთავაზობთ უაღრესად ინოვაციური და ინტენსიური მეწარმეობის სწავლებისა და თანა-სწავლების ხელშეწყობას.
2. სამეწარმეო ეკოსისტემის მართვა University of Reading-ისა და Thames Valley Berkshire-ის ფარგლებში. ეს მოიცავს სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობასა და სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნეს ინკუბატორების, აქსელერატორებისა და კვლევების თარგმნისა და კომერციალიზაციის გზით.
3. რეგიონის მიღმა სამეწარმეო საქმიანობის დღის წესრიგის მართვა. ჩვენ ამის მიღწევას ვცდილობთ გამორჩეული აკადემიური და პრაქტიკული კვლევების მეშვეობით და მეწარმე ორგანიზაციების, პოლიტიკის შემმუშავებლებისა და გლობალური საზოგადოების ეფექტურ ჩართულობით.

## სამეწარმეო აზროვნების კულტივაცია

HCfE მიიჩნევს, რომ ძლიერი სამეწარმეო აზროვნება ყველა სტუდენტს მიიყვანს სწორ დანიშნულებამდე, დასაქმებულის თუ თვითდასაქმებულის სტატუსით. იმისთვის, რომ სხვადასხვა ფონის მქონე სტუდენტებს მივცეთ საშუალება შეიძინონ სამეწარმეო აზროვნება, ჩვენ ვთავაზობთ ფართო სპექტრს მოდულებს, რომლებიც ქმნის ძირითად სამეწარმეო უნარებს, რომელიც საჭიროა ყველა კურსდამთავრებულისთვის, ასევე სპეციალური სასწავლო პროგრამებს იმ სტუდენტებისთვის, ვისაც სურს გააძვიროს სამეწარმეო კარიერას.

გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლების მიდგომებს დიდი წილი აქვს ჩვენს სწავლების მოდულებში. ეს პრაქტიკული საგანმანათლებლო აქტივობები მოიცავს ლაივ შემთხვევის ანალიზს, ლონდონის ტექნოლოგიურ ჰაბებში ფიჩს, ინკუბატორებს (Google კამპუსი, Wayra, Tech City და Fab Lab), მედიაციურ საკონსულტაციო ინტერვენციებს სტარტაპებისთვის, საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებს ადრეულ ეტაპზე მყოფი ტექნოლოგიური მეწარმეებისთვის (მაგალითად, ვროცლავსა და კრაკოვში, პოლონეთი და მოსკოვში, რუსეთი), ან ჰენლის MBAid ინიციატივის ფარგლებში სამხრეთ აფრიკის ქალაქების სოციალური საწარმოების მენტორინგს. ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც გამოვიყენეთ ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები Henley-ს სამეწარმეო აზროვნების მხარდაჭერის განსავითარებლად. ეს მოიცავს ახალი მეწარმეობის სიმულაციებსა და თამაშებს, MOOC-ებს, გუნდების შესაბამისობის პროგრამულ უზრუნველყოფას, ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტის პიროვნულ განვითარებას და კომერციული „ქრადფანდინგის“ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს დატესტონ თავიანთი იდეები სწრაფად რეალურ და თანატოლ ინვესტორებზე.

სწავლებას მხარს უჭერს თანასწავლების შეთავაზება, რომელიც უბიძგებს სტუდენტებს ჩაერთონ University of Reading-ის წამყვან სამეწარმეო პრაქტიკაში.

სწავლის წარმატების ძირითადი საზომი არის ჩვენი Henley-ს სამეწარმეო აზროვნების განვითარება ყველა ჩვენს სტუდენტს შორის, რომელიც აისახება ჩვენი კურსდამთავრებულების კარიერის ტრაექტორიისა და შემოსავლების გაუმჯობესებაში. Henley-ს წარმატება არის ის, რომ იგი მუდმივად არის წარმოდგენილი მსოფლიოს წამყვანი ბიზნეს სკოლების რეიტინგში.

### *HCfE- ის სწავლების პორტფოლიო*

- HCfE სთავაზობს საბაკალავრო და სამაგისტრო სტუდენტებს, ასევე დოქტორთა აქტიურ საზოგადოებას და DBA-ის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს სპეციალურ სადიპლომო პროგრამებს მეწარმეობაში.
- HcfE ასევე სამეწარმეო საგნებს, რომლების ერთიანდება ისეთ სფეროებთან, როგორცაა სურსათისა და კვების მეცნიერებები, ბიომეცნიერები და ჰუმანიტარული მეცნიერებები.
- მოდულების პორტფელის მეშვეობით HCfE ყოველწლიურად იღებს 1,500 სტუდენტს

საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დონეზე.

- მოდულები მოიცავს ყველაფერს, ტრადიციული იდეის შექმნიდან და შეფასებიდან, უფრო მჭლე სტარტაპ მეთოდებამდე, სოციალური საწარმომდე, დაფინანსებამდე და ვენჩორულ კაპიტალამდე და ციფრული მეწარმეობამდე.


### თანასწავლების განვითარება

- უნივერსიტეტის სტუდენტ მეწარმეთა საზოგადოება აერთიანებს 700 წევრს. HCfE აქტიურად უჭერს მხარს მათ საქმიანობას.
- Business Idea და Start-up Clinic არის HCfE- ის ყოველკვირეული ღონისძიება იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ განიხილონ ბიზნეს იდეები.
- Henley-ს Crowdfunding პლატფორმა არის სასწავლო ინსტრუმენტი ფაკულტეტისთვის, რომ შეაფასოს სტუდენტების პროექტები, ასევე პლატფორმა სტუდენტებისთვის, რომ მოიპოვონ დაფინანსება და შეამოწმონ საკუთარი ბიზნეს იდეები.
- IDEAFEST, უნივერსიტეტის წლიური ბიზნეს იდეების შეჯიბრია, რომელსაც ორგანიზებას უწევს HCfE.
- HCfE ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მცირე და საშუალო ბიზნესის სამაგისტრო დასაქმების პროგრამას, რომელიც კოორდინირებული სატრენინგო პროგრამების საშუალებით მხარს უჭერს სტუდენტებს მოიპოვონ მიმზიდველი პოზიციები სწრაფად მზარდს SME კომპანიებში.
- Summer Start-up Boot Camp-ს, რომელსაც მართავს HCfE და Pop-up Business School-ს ყოველწლიურად ესწრება 40 ან მეტი სტუდენტი მეწარმე საკუთარი ბიზნეს იდეის განსავითარებლად.
- HCfE მასპინძლობს რამდენიმე ღონისძიებას, მათ შორის სპიკერების პანელს, საწარმოს განვითარების შესახებ საუბრებს და მომხმარებელთა განვითარების სამუშაო შეხვედრას, სადაც მოწვეული არიან მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ მეწარმეობას.
- HCfE News არის რეგულარული სარეკლამო ელ. ფოსტა, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მასშტაბით ჩატარებული სამეწარმეო აქტივობების შესახებ ანგარიშს.

ამ აქტივობების უმეტესობა დაფინანსებულია სპონსორობის პროგრამით, რომელიც წლიურად გამოყოფს დაახლოებით 50,000 ფუნტის ოდენობის დამატებით რესურსებს სამეწარმეო აქტივობებში რეინვესტირებისთვის.



## სამეწარმეო ეკოსისტემის მართვა



Thames Valley Berkshire მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სამეწარმეო რეგიონია. რიდინგი არის წამყვანი სამეწარმეო ქალაქი დიდ ბრიტანეთში, PwC-Demos Good Growth for Cities Report 2016-ის მიხედვით, დიდწილად იმიტომ, რომ მას აქვს ლონდონის გარეთ სწრაფად მზარდი ბიზნესების უდიდესი კლასტერი. "Financial Times"-მა ცოტა ხნის წინ შეაფასა რიდინგი, როგორც ბრიტანეთში მესამე, ევროპაში ხოლო მეათე, ყველაზე სამეწარმეო ქალაქი.

ამ ძლიერ სამეწარმეო ეკოსისტემაში HCfE არის ძირითადი მოთამაშე, რომელსაც წვლილი შეაქვს სამ დონეზე: მართავს მეწარმეობას უნივერსიტეტში და მისი კურსდამთავრებულებს შორის, აქტიურ ძალისხმევას დებს ადგილობრივი სამეწარმეო ეკოსისტემის ხელშეწყობაში, და ააქტიურებს მის გლობალური მიღწევებს, რათა ხელი შეუწყოს ეკოსისტემასთან მჭიდრო საერთაშორისო პარტნიორობას.

### *University of Reading-ის სამეწარმეო ეკოსისტემის მართვა*

Henley-ს ჰყავს დიდი ბრიტანეთის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებულთა მსხვილი საზოგადოება, 70,000-ზე მეტი კურსდამთავრებული, რომელთა უმრავლესობამ სამეწარმეო კარიერა გააგრძელა. University of Reading-ს 90,000 კურსდამთავრებული ჰყავს. HCfE ამ თემებს მხარს უჭერს სამეწარმეო საქმიანობაში შემდეგი მიმართულებებით:

- HCfE- ს Henley-ს სტუმრობს კურსდამთავრებულთა Special Interest Group in Entrepreneurship-ს და ხელს უწყობს Henley-ს კურსდამთავრებულთა განსაკუთრებულ ღონისძიებებს. მაგალითად, ბოლო ვებინარს - "როგორ განვავითაროთ თქვენი ბაზარი" - 300-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა უსმინა.
- ჩვენ გავცემთ Savvio Kwan-ის სტიპენდიას Henley-ს MBA-ს კურსდამთავრებულებისთვის, რათა მათ განავითარონ თავიანთი ბიზნეს იდეები ჰანჯოში, ჩინეთში, Zhejiang University-სთან თანამშრომლობით.
- ჩვენ ვმართავთ Best Start-up-სა და Innovation of the Year Competition-ს კურსდამთავრებულებისთვის, რომლებმაც დაიწყეს ბიზნესი. კურსდამთავრებულები სარგებლობენ სპონსორებისა და HCfE-ს აქტიური მენტორობით.
- The Business Idea და Start-up Clinic ასევე ხელმისაწვდომია ყველა კურსდამთავრებული.

- Start-up Business Incubator, მოქნილი საერთო სამუშაო, სრულად მოწყობილი სივრცე, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვის.
- საერთაშორისო კურსდამთავრებულებს, HCfE-ს ადმინისტრირებით, შეუძლიათ მიიღონ Tier 1 Entrepreneurship ვიზა.
- HCfE ხელმძღვანელობს Henley's Business Angel საზოგადოებას, ინვესტორთა ქსელს, რომლებიც, UK Business Angels Association-თან თანამშრომლობით, სთავაზობენ დაფინანსებასა და მენტორინგს იმ მეწარმეებს, რომლებიც დაკავშირებული არიან უნივერსიტეტთან.
- HCfE წარმატებულ კურსდამთავრებულებს იწვევს სტუდენტებთან სასაუბროდ - მაგალითად, ბენ რედმონდმა (Risk Capital Partners-ის დამფუძნებელი) ცოტა ხნის წინ სტუდენტებისთვის ისაუბრა თემაზე „სამეწარმეო საზოგადოება“.

### *Thames Valley Berkshire-ის სამეწარმეო ეკოსისტემის მართვა*

HFCE, მისი რეგულარული ღონისძიებების მეშვეობით, არის ძირითადი მრჩეველი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შესახებ დისკუსიებში. უნივერსიტეტი დროდადრო ატარებდა ღონისძიებებს ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის 1980-იანი წლებიდან. მაგრამ HCfE-ის ფარგლებში ეს ღონისძიებები იქცა სტრუქტურირებულ პროგრამად, რომელსაც 2014 წლიდან დაესწრო 1,000-ზე მეტი მონაწილე და მოიპოვა დიდი აღიარება რეგიონში. ამას სტანდარტულად აქვს ზრდის დღის წესრიგი, რომელიც განმარტავს საუკეთესო გამოცდილებას ისეთ თემებზე, როგორცაა მდგრადი კონკურენტული უპირატესობა, ფინანსების უზრუნველყოფა ბიზნესის ზრდისთვის, მომხმარებლის განვითარება, ახალი ტექნოლოგიები, უნივერსიტეტის ურთიერთობების გამოყენება, ცოდნის გადაცემა და თანამშრომლებიც დასაქმება და განვითარება (განსაკუთრებით კურსდამთავრებულები).

HFCE ეხმარება Thames Valley Berkshire-ის ეკონომიკური დაგეგმვის ჯგუფებს. იურეკ სიკორსკი არის Thames Valley Berkshire-ის ეკონომიკური პარტნიორობისა და რიდინგის სავაჭრო პალატის SME Steering Group-ის საბჭოს წევრი, ხოლო პროფესორი ანდრიუ გოდლი არის მასშტაბის ზრდის კომიტეტის წევრია. ჩვენ ვმუშაობთ ადგილობრივ პარტნიორებთან, როგორცაა Thames Valley Berkshire Business Growth Hub, Thames Valley-ს სავაჭრო პალატა, დირექტორთა ინსტიტუტი და სხვა ძირითადი ადგილობრივი ჯგუფები. HCfE-მა ასევე ჩამოაყალიბა კოლაბორაცია Business United-თან, რომელიც არის ადგილობრივი ბიზნესის ლიდერების მხარდაჭერის ქსელი, 1 მილიონზე მეტი ბრუნვით, შედეგად ის უმასპინძლებს Brittelstand-ის სიმპოზიუმს 2017 წელს.

1990-იანი წლებიდან უნივერსიტეტმა გამოყო სივრცე 70 მცირე და საშუალო ზომის საწარმოსთვის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ და საწარმოო ცენტრებში. მაგრამ უნივერსიტეტი ახლა University Science Parks-ის ერთ-ერთი წამყვანი დეველოპერია, რომელმაც გახსნა ახალი Thames Valley Science Park (TVSP) 2017 წელს. ეს არის 35 მილიონი ფუნტი ინვესტიცია ახალ საშუალებებში და შექმნის 200-ზე მეტი მცირე და საშუალო ზომის



ბიზნესს, რის შედეგადაც შეიქმნება 5,000 ახალი სამუშაო ადგილი. ამ მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების უმეტესობა, რომელიც მოხიზლულია უნივერსიტეტის მკვლევარების კომერციალიზაციითა და შესაძლებლობებით, ასევე სთავაზობს განთავსებასა და სავსე სამუშაოებს HCfE სტუდენტებს, ხოლო კურსდამთავრებულებს - დასაქმების შესაძლებლობას.

Vital Six- თან თანამშრომლობით, HCfE მართავს Henley (ახლა Berkshire) აქსელერატორ პროგრამას მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისთვის. 2013 წლიდან მას ჰყავდა 200-ზე მეტი მონაწილე და 2018 წლიდან მართავს TVSP-ს. ის ასევე ასაქმებს განვითარებადი იდეების მქონე მკვლევარებს უნივერსიტეტის კვლევების თარგმნის ჰაბებიდან (Institute for Environmental Analytics, Centre for Agricultural Metrics, და Thames Valley Life Sciences Network) და მოქმედებს როგორც აქსელერატორი კომერციალიზაციის სტრატეგიებისთვის უნივერსიტეტის ფაკულტეტებს შორის.

HCfE შეიმუშავა მენტორობის, ტრენინგისა და კომერციალიზაციისა და მეწარმეობის, უნივერსიტეტსა და ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შორის კვლევის მხარდაჭერის თანმიმდევრული და ინტეგრირებული ამ მცირე და საშუალო ბიზნესის შორის სამეწარმეო ზრდის დაჩქარების ხელშეწყობის მიზნით, HCfE- მა ჩაუშვა სამაგისტრო დასაქმების პროგრამა ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, სადაც საწარმოებს შეუძლიათ ჩაუტარონ კურსდამთავრებულებს ტრენინგ მოდულები HCfE-სთან თანამშრომლობით და შესაბამისად კონკურენციას გაუწიონ საუკეთესო კურსდამთავრებულთა დასაქმების სქემებს.

### ადგილობრივი ეკოსისტემის მიღმა მეწარმეობის დღის წესრიგის მართვა

HCfE-ის ფართო ბრიტანულ საზოგადოების სამეწარმეო კვლევის ძირითადი წვლილი საზოგადოებრივ პოლიტიკაშია. პროფესორები კასონი და გოდლი (და ეკონომისტთა გუნდი) მიწვეული იყვნენ ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტში, რომ დახმარებოდნენ შეეცვალათ მათი მხარდაჭერის პოლიტიკა მცირე და საშუალო ზომის ექსპორტიორებთან მიმართებაში ბრიტანეთის ვაჭრობისა და ინვესტირების პოლიტიკის (UKTI) მემვეობით 1999 და 2007 წლებში. ეს ინტერვენციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხრიდან მრავალი ათასი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის გაუმჯობესებაზე. ეს ინტერვენციები წარმოადგენდა ბრიტანეთის 2014 წლია Research Excellence Framework-ში მონაწილე ორი კვლევის საგანს და აღიარებულია, რომ ჰქონდათ განსაკუთრებული გავლენა მიღწევისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით.

მეორე სფერო, სადაც HCfE-ს ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა მისი უშუალო გარემოს საზღვრებს მიღმა, არის მისი საერთაშორისო წვდომა და თანამშრომლობა ქვეყნის ფარგლებში. ეს ყველაზე თვალსაჩინო იყო ჩინეთში, სადაც გოდლიმ, კვლევისთვის კავშირების დამყარების დროს დააარსა Zhejiang-Reading Sino-British Centre for Entrepreneurship Research გაერთიანება Zhejiang University-ში, 2013 წელს პროფესორ ჟონგმინგ ვანგთან (Zhejiang University და Henley Business School-ის მოწვეული პროფესორი) ერთად. ეს გაერთიანება ახლა ახორციელებს პროექტს მეწარმეობის განათლებაში საუკეთესო პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად და მეწარმეობის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ალიანსში (რომელიც წარმოადგენს 100 უნივერსიტეტსა და 400,000-ზე მეტი სტუდენტთა ორგანოს ჯეძიანის პროვინციაში), სასწავლო და ტრენინგ კურსების გასავითარებლად.

HCfE ასევე მხარს უჭერს სტუდენტებსა და ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესში სამეწარმეო განათლების მიწოდებას ყაზახეთში, Centre for Economic Competitiveness-ის მეშვეობით, რომელიც ჩამოაყალიბა პროფესორმა ელენა კალიუზნოვამ. საბოლოო ჯამში, HCfE ასევე თანამშრომლობს Moscow State Institute of International Relations-ის (MGIMO) ინკუბატორებთან და რუსეთის მასშტაბით ტექნოლოგიურ პარკებთან საუკეთესო გამოცდილების გაზიარებასა და სტარტაპებისთვის დამხმარე ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

### 3. ხედვა

HCfE-ის მისია მნიშვნელოვნად გაიზარდა, მსოფლიო დონის აკადემიური კვლევის ცენტრიდან, გახდა Henley Business School- ის ცენტრალური კომპონენტი, რომელიც ხელმძღვანელობს სამეწარმეო საქმიანობას University of Reading-ში და ფართო რეგიონის მასშტაბით. ამჟამად ფართო მისია მოიცავს მეწარმეობის საგანმანათლებლო საქმიანობის ფართო სპექტრის ხელმძღვანელობასა და მიწოდებას, მეწარმეების თემის საზოგადოებასთან კავშირის ხელშეწყობას და ფაკულტეტისთვის, რომელიც ჩართულია კვლევების თარგმნაში, კომერციალიზაციის ექსპერტიზის მიწოდებას.

წარსულში მიღწეული წარმატებების გავლენით, HCfE-მა საკუთარ თავს დაუსახა ამბიციური მიზნები - მართოს სამეწარმეო დღის წესრიგი მომავალ წლებში.

#### University of Reading-ში სამეწარმეო განათლების გაფართოება და გამდიდრება

##### სამეწარმეო განათლება უნივერსიტეტის მასშტაბით

ჩვენ გვინდა დავინახოთ, რომ University of Reading ავითარებს სამეწარმეო აზროვნებას, რაც უპირველესი ატრიბუტია University of Reading-ის ყველა კურსდამთავრებულისთვის. ამ მიზნის მისაღწევად, HCfE ეძებს ინოვაციურ გზებს, თუ როგორ შეუძლია სწავლის დონის ამაღლება, ასევე, თუ როგორ შეუძლია ჩართოს და გადაამზადოს ფაკულტეტი კამპუსის მასშტაბით, რომ გააერთიანოს მეწარმეობის შინაარსი მათ სადიპლომო პროგრამებში.

##### რეგოლაციური ინტერდისციპლინური ხარისხის პიონერი

ბოლო წლებში რამდენიმე სკანდინავიურმა უნივერსიტეტმა (მაგალითად, Vilnius, Alto და Jonkoping) განავითარა თითქმის რეგოლაციური საბაკალავრო განათლება, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა დისციპლინა მოიცავს მეწარმეობის კურსს, როგორც მეორეხარისხოვან საგანს. შედეგები შთამბეჭდავია. ჩვენ გვინდა, რომ University of Reading-მა ჩართოს მეწარმეობის მეორეხარისხოვანი კურსი (20 კრედიტი ყოველწლიურად) ყველა სტუდენტისთვის, ყველა პროგრამაში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე ვამზადებთ ახალი ინოვაციური, ინტერდისციპლინური ხარისხის შეთავაზებას.

##### HCfE პედაგოგიური მოდელის შემუშავება: „წადი და ისწავლე“-დან, „წადით და გააკეთე“-მდე

ჩვენ ვვგეგმავთ, რომ მეწარმეობის განათლების სისტემის HCfE-ს მოდელი, განვითარდეს და ტრადიციულ ლექციებზე დაფუძნებულ სწავლებიდან გადაიზარდოს უფრო პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაში, სადაც სტუდენტები იღებენ მონაწილეობას კამპუსში ან მიმდებარედ არსებულ სამეწარმეო ფირმებში. პრაქტიკაზე დაფუძნებული პედაგოგიკის უპირატესობა ლექციებზე დაფუძნებულ სწავლებასთან შედარებით ალიან დიდია. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტთა გამოცდილებას კამპუსში და ხელს უწყობს მათ შემდგომ დასაქმებას. ეს მოითხოვს სწავლების, შეფასებისა და ადმინისტრირების ახალ პრაქტიკას, რადგან მეწარმეობის ეკოსისტემაში ურთიერთდაკავშირება ხდება მოდულისა და

ხარისხის პროგრამის დიზაინის ნაწილი.

### ჩაშენებული მინი-ინკუბატორები

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კარგი იქნება გაიზარდოს მინი ინკუბატორების რაოდენობა კამპუსში მომავალი ხუთი წლის განმავლობაში. რამდენიმე შეიძლება გაერთიანებული იყოს ძირითად სასწავლო ზონებში; სხვები შეიძლება უფრო შორს წავიდნენ. ამ მინი ინკუბატორებს ექნებათ „ცხელი დახლი“ სტუდენტი მეწარმეებისთვის და ექნებათ წვდომა უნივერსიტეტის რესურსებზე (როგორცაა 3D პრინტერები, ლაბორატორიული სივრცე და ა.შ.), რათა ხელი შეუწყონ პროტოტიპების შექმნას, ექსპერიმენტების განხორციელებასა და ახალი პროდუქტის ტესტირებას.

ჩვენ გვსურს, რომ უნივერსიტეტმა ინვესტიცია ჩადოს ხუთი ასეთი ინკუბატორის შექმნაში: ერთი მათგანი იქნება Henley’s Business School-ის Whiteknights-ის შენობაში ან მიმდებარედ, ერთი URS-ის შენობაში, ერთი - არსებული ინკუბატორის შენობაში, Earley Gate-ში, რომ გააფართოვოს არსებული ინკუბატორი, ერთი - London Road campus-ში და ერთიც - TVSP-ში. ეს შენობები შეიძლება შემოქმედებითად მოეწყოს, რათა იყოს მიმზიდველი სამეწარმეო სტარტაპებისთვის, და ასევე პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების პროგრამებთან შესაბამისობაში.

### გამოყენებითი სამეწარმეო მოდული

იმ სტუდენტებს, რომლებიც მზად არიან ბიზნესის დაწყებას, ჩვენ ახალ მოდულს შევთავაზებთ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი სტუდენტისთვის, მისი სასწავლო საგნისა და სწავლების დონის მიუხედავად. ეს მოდული, პირველად, სტუდენტებს საშუალებას მისცემს მიიღონ აკადემიური კრედიტი რეალურ ბიზნესის მართვით. ამ მოდულის მიღება შესაძლებელი იქნება სპეციალური განაცხადის შევსების საფუძველზე.

### ადგილობრივი ეკოსისტემის სტრატეგიულ ლიდერობაში ინვესტირება

#### მეწარმეობის ლიდერობის ღია პროგრამა

Thames Valley Berkshire არის წამყვანი ადგილმდებარეობა მასშტაბის გასაზრდელად დიდ ბრიტანეთში. ScaleUp Institute-მა გამოავლინა, რომ ლიდერობის განვითარება ყველაზე დიდი დაბრკოლებაა ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბიზნესების წინაშე. ჩვენ ხელს შევუწყობთ ამ ფორმებს, რომ დაძლიონ ეს გამოწვევა პრაქტიკოსი მენეჯერებისთვის სამეწარმეო ლიდერობის CPD პროგრამის შექმნით, რომელიც ეყრდნობა ჩვენი აქსელერატორი და მომხმარებლის განვითარების ღია პროგრამების არსებობას.

#### გამოყენებითი მენეჯმენტის ხარისხი მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისთვის

2018 წლის აპრილის შემდეგ დიდი ბრიტანეთის ახალი Apprenticeship Levy ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის ხელმისაწვდომი თანხების ზრდას იმისთვის, რომ მათი თანამშრომლები ჩაირიცხონ შესაბამისი ხარისხის პროგრამებში. ამის განხორციელებას ვგეგმავთ Henley-ს BA გამოყენებითი მენეჯმენტის პროგრამის “SME

ვერსიის“ შექმნით.

## Henley Business Angels-ის წევრობისა და აქტივობების ზრდა და Henley-ს თანადაფინანსების შექმნა

Henley Business Angels-ის წარმატების საფუძველზე, გვაქვს ამბიციური გეგმების, რომ გავაფართოვოთ წევრობა და ფინანსებზე წვდომა იმ კურსდამთავრებულებისთვის, რომელთაც აქვთ სურვილი გაზარდონ საკუთარი ბიზნესი. HCfE გეგმავს დააფუძნოს Henley-ს თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც თანაინვესტირებას მოახდენს SEIS-სა და EIS-ის საკვალიფიკაციო კომპანიებში Henley Business Angels-თან ერთად. Oxford University-ს, Cambridge University-სა და Imperial College-ს აქვთ ბიზნესის ანგელოზის დაფინანსებასა და თანაინვესტირების ფონდებზე წვდომა. HCfE University of Reading-თან ერთად დაამყარებს პარტნიორულ ურთიერთობას ვენჩორული კაპიტალის ფირმებთან, რომ ჩამოყალიბდეს Henley-ს თანადაფინანსების პროგრამა.

## მნიშვნელოვანი წვლილი გლობალური მეწარმეობის დღის წესრიგში

### კვლევა

ჩვენ გავაგრძელებთ მსოფლიოს წამყვანი და საერთაშორისო კვლევების გამოქვეყნებას, რომ დავაგენერიროთ კვლევის შემოსავლები და გაავრცელოთ ჩვენი კვლევა მსოფლიოს მასშტაბით. ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი განსხვავებული მიდგომის განვითარებას. ყველა ინდივიდუალურ ფაკულტეტს აქვს Henley-ის კვლევის დეკანის მიერ დამტკიცებული კვლევის გეგმა. ექსპერტიზა მოიცავს: მეწარმეობის ისტორიას, მეწარმეობასა და რეგიონულ ინოვაციას, მეწარმეობის ინსტიტუციონალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას, მეწარმეობას ჩინეთში, მეწარმეობას შემოქმედებით ინდუსტრიებში, ციფრულ მეწარმეობას, სამეწარმეო ხელმძღვანელობას, მეწარმეთა ციფრულ მარკეტინგს, მეწარმეობის განათლების პედაგოგიკასა და მეწარმეობის განათლების პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებას.

### დიდი გავლენის მქონე გლობალური პარტნიორობა

ჩვენ ვიქნებით მეწარმეობის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ალიანსის თანა-ხელმძღვანელები და მხარს დავუჭერთ სამეწარმეო განათლების სასწავლო პროგრამის განვითარებას, რომელიც მიმართულია სამეწარმეო აზროვნების განვითარებისკენ.

## ჩვენი პროგრესის შემოწმება მსოფლიოს საუკეთესო ბიზნეს სკოლებთან შედარების საფუძველზე

ჩვენ უნდა შევამოწმოთ ჩვენი პროგრესი მკაცრად, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებთან და სამეწარმეო ცენტრებთან სისტემური შედარების საფუძველზე. ჩვენ ცოტა ხნის წინ შევუერთდით Babson Collaborative-ს (Babson University მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტია მეწარმეობის განათლებისა და Global Entrepreneurship Monitor-ის წევრების ჩამოყალიბების სფეროში). ჩვენ პრიორიტეტებად დავყოფთ ფაკულტეტის განვითარებას და ინვესტიციას გავაკეთებთ Babson's Seminar for Entrepreneurship Education-ის თხუთმეტი

ადგილის დასაჯავშნად 2017-2019 წლებში. ჩვენ აქტიურად ვუკავშირდებით დიდი ბრიტანეთის სამეწარმეო განათლების წამყვან უწყებებს, როგორცაა London Business School, Kings College London, Imperial და UCL.



## ბიბლიოგრაფია

Alto, P & Farny, S (2016) Entrepreneurial Aalto: Where science and art meet technology and business. In: L Foss & D V Gibson (eds) The Entrepreneurial University: Context and Institutional Change. Routledge, pp150–66

Alvarez, S, Godley, A & Wright, M (2014) Mark Casson, the entrepreneur at thirty: Continued relevance? Strategic Entrepreneurship Journal, 8 (2), 185–94

Casson, M (1982) The Entrepreneur: An Economic Theory. Oxford: Martin Robertson

Department for Business Innovation and Skills (2015) Fulfilling our Potential: Teaching Excellence, Social Mobility and Student Choice, November 2015. [Accessed 27 April]  
[www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/474227/BIS-15623-fulfilling-our-potential-teaching-excellence-social-mobility-and-student-choice.pdf](http://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/474227/BIS-15623-fulfilling-our-potential-teaching-excellence-social-mobility-and-student-choice.pdf)

Landström, H, Harirchi, G & Åström, F (2012) Entrepreneurship: Exploring the knowledge base. Research Policy, 41 (7), 1154–81

Rundle, D (2006) Henley and the Unfinished Management Education Revolution. Henley-on-Thames: Henley Management College

Universities UK (2010) Changes in student choices and graduate employment. Higher Education Funding Council for England

### სამეწარმეო განათლებასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებული ვებ-ლიტერატურა

Financial Times (2015) University of Oxford receives backing for £300m science venture. [Accessed 27 April 2017] [www.ft.com/content/b93fe688-f971-11e4-ae6500144feab7de](http://www.ft.com/content/b93fe688-f971-11e4-ae6500144feab7de)

Financial Times (2016) Silicon Valley springs up in M4 corridor. [Accessed 27 April 2017] [www.ft.com/content/2ff60718-d00d-11e5-92a1-c5e23ef99c77](http://www.ft.com/content/2ff60718-d00d-11e5-92a1-c5e23ef99c77)

Financial Times FDi Intelligence (2017) European Cities of the Future [Accessed 24 April 2017] [www.fdiintelligence.com/Locations/Europe/European-Cities-and-Regions-of-the-Future2014-15](http://www.fdiintelligence.com/Locations/Europe/European-Cities-and-Regions-of-the-Future2014-15)

Henley Business School (undated) Executive education – Accelerator programmes. [Accessed 2 May 2017] [www.henley.ac.uk/executive-education/henley-accelerator-programmes/](http://www.henley.ac.uk/executive-education/henley-accelerator-programmes/)

Henley Centre for Entrepreneurship (2015) [Accessed 24 April 2017] [www.henley.ac.uk/research/research-centres/henley-centre-for-entrepreneurship/](http://www.henley.ac.uk/research/research-centres/henley-centre-for-entrepreneurship/)

PwC UK (2016) Good Growth for Cities. [Accessed 27 April 2017]  
[www.pwc.co.uk/industries/government-public-sector/good-growth.html](http://www.pwc.co.uk/industries/government-public-sector/good-growth.html)

Research Excellence Framework (REF) (2014a) University of Reading REF Impact case study (REF3b) Enhancing Government (UK Trade and Investment) performance through improving UK SME sector exports. [Accessed 27 April 2017] <http://impact.ref.ac.uk/CaseStudies/CaseStudy.aspx?Id=40395>

Research Excellence Framework (REF) (2014b) University of Reading REF Impact case study (REF3b) Improved targeting of subsidies for inward direct investments into the UK [Accessed 27 April 2017] <http://impact.ref.ac.uk/CaseStudies/CaseStudy.aspx?Id=40392>

Reuters (2015) The world's most innovative universities. [Accessed 27 April 2017]  
[www.reuters.com/article/idUSL1N11K16Q20150915](http://www.reuters.com/article/idUSL1N11K16Q20150915)

Times Higher Education (2016) The world's top universities for attracting industry. [Accessed 27 April 2017] [www.timeshighereducation.com/world-university-rankings/funding-forinnovation-ranking-2016](http://www.timeshighereducation.com/world-university-rankings/funding-forinnovation-ranking-2016)

Times Higher Education (undated) Let students build tech products, UK sector told. [Accessed 27 April 2017] [www.timeshighereducation.com/news/let-students-build-tech-products-uksector-told](http://www.timeshighereducation.com/news/let-students-build-tech-products-uksector-told)

Times Higher Education (undated) UEA launches green space for entrepreneurial students and businesses to collide. [Accessed 27 April 2017] [www.timeshighereducation.com/news/uea-launches-green-space-entrepreneurialstudents-and-businesses-collide](http://www.timeshighereducation.com/news/uea-launches-green-space-entrepreneurialstudents-and-businesses-collide)

UKSPA (undated) Thames Valley Science Park. [Accessed 27 April 2017]  
[www.ukspa.org.uk/members/ursp](http://www.ukspa.org.uk/members/ursp)